რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი:
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელზედ"
ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიეცა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი", შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი დირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.

Редакція „Цнобисъ Пурцели".

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა დებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს-კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
✦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✦
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბ ა თ ო მ შ. სურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—30)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 5 თებერვალს 1897 წ.
ბენეფისი გ. ვ. გედევანოვისა.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:
I
პირველად ახალი პიესა
ცოლ-ქმრობის ყვავილები.
კომედია-ფარსი 3 მოქმედებად, ბისსონისა თარგ. ნ. გალუსტოვისაგან.
II
პირველად ახალი პიესა
შიშს დიდი თვალები აქვს
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლისა, ივანიძისა, კუნდელი და სხვ. ბბ. აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, აბრამოვი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

„ახალი მკითხველი"
მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემებზე.
ფასი მთელი წლისა 3 მანათი.
შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.
ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель". Ивану Павловичу Ростомову.* (30—27)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. ბროცკოვსკი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. მუგანოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. ბროცკოვსკი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. მუგანოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა სენით ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ბერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია. (წ.)

ვექილი
გ. ბ. გვაზავა
კისრულობს სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.
(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).
დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.
ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—20)

გამოვიდა ცალკე წიგნად
თავ. კაიხოსრო გელოვანის
ლექსები
ისყიდება: ბ-ნნ ბეგიჩევის, ხიდდეკელის, გრიქუროვის, მღივანის, ნ. პოლტარაცკის და ქართველთა წიგნების მაღაზიებში.
ფასი სამი შაური.

კბილის ექიმი
ვ. ი. ჯიჯინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21, „ივერიის" რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

2 თებერვალი

პარიზი. ათინიდგან იწერებიან: მართალია, ნაღმიანი გემების ფლოტილია კანეაში მოვიდაო.

ვენა. ბოლგარიის მთავრობა ცდილობს სხვა სახელმწიფოების დახმარებით თვისი სამთავრო სამეფოდ გადააკეთოს. ამბობენ, დაუჯერებელი არ არის ის ხმები, რომ ვითომ ბოლგარიას მაკედონიაში უწესოების მოხდენა უნდაო, რადგანაც თავადს ფერდინანდს გააგებინეს სახელმწიფოებმა, რომ მეფედ აღარ გაღიარებთ, თუ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე უწესოებას რასმე გამოიწვევო.

ვენა. საბერძნეთის რწმუნებულმა განოსმა გარდასცა გრაფ გოლუხოვსკის საბერძნეთის მთავრობის ნოტა, რომელშიაც ახსნილი და განმარტებულია საბერძნეთის უკანასკნელი დროის პოლიტიკა და უმთავრესად მიზეზი კრიტის წყლებზედ ესკადრის გაგზავნისა.

ბუდა-პეშტი. დეპუტატთა პალატა. ფრანც კოშუტმა მიჰმართა მთავრობას და შეეკითხა კრიტში საბერძნეთის მოქმედებისა და იმის გამო, თუ სხვა სახელმწიფოები რა თვალით უცქერიან საბერძნეთის საქციელსაო. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა, რომ გაზეთები ტყუილს ამბობენ, ვითომ სამხედრო თათბირი ყოფილიყოს ჯარების მოსალოდნელ მობილიზაციის გამოო. რაც შეეხება კრიტის საქმეს, ამ ჟამად დაწვრილებით პასუხს ვერ მოგცემთო.

რომი. კანეიდგან იუწყებიან, რომ როგორც ხმა დადის, საბერძნეთის გემებიდგან ლამე ბევრი თოფ-ზარბაზანი და ტყვია-წამალი გადმოუტანიათ ნაპირზედ. მოელიან კვლავ არტილერიის პოლკოვნიკს 24 ჯარისკაცით და ზარბაზნებით. როგორც ამბობენ, სიტიაში დაუხოცავთ 300 მაჰმადიანი. კისალოშიაც დახოცეს მაჰმადიანები.

ლონდონი. „Times"-ს ატყობინებენ კანეიდგან, რომ აქ 4 ნაღმიანი გემი და ერთიც ტვირთის მზიდველი გემი მოვიდაო. ქრისტიანებმა სროლა დაუწყეს ოსმალთა სამხედრო გემს, რომელიც კისალოს ნაპირს მოადგა. კონსულების აზრით, რეტიმნოში საქმეთ ვითარება ძლიან გამწვავებულია. ქრისტიანები სასო-წარკვეთილებამდე არიან მიღწეულნი. 200 კაცამდე შეიკეტნენ ზუდის მახლობლად ხრისოპიგის მონასტერში.

ლონდონი. ლონდონის ხელმძღვანელ წრეებში ამბობენ, ეჭვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ჰკიცხავს საბერძნეთის მოქმედებასაო. დარწმუნებულნი არიან, რომ საბერძნეთის მთავრობას არ მისცემენ ნებას იმ გზით სიარულისას, რომლითაც განუზრახავს მას და იძულებულ იქნება უარ-ჰყოს სურვილი ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებისაო.

სტამბოლი. კანეიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, რომ კრიტის კუნძულზედ კიდევ არ შეწყვეტილა მკვიდრთა შორის ომი. უმთავრესი ადგილები: კანეია, კანდია და რეტიმნო,— მაჰმადიანებსა აქვთ დაჭერილი; ქრისტიანები გაიქცნენ კანეიდან; რეტიმნოდგან-კი მაჰმადიანებს არ აძლევენ წასვლის ნებას. საერო მღელვარება უფრო და უფრო ძლიერდება. საბერძნეთის ესკადრის აქ ყოფნისა გამო, ყოველ დღე მოელიან, რომ აჯანყებულნი თავს დაგვესხმებიანო. ოსმალთა მხედრობა ჯერ მოწინააღმდეგეთა მოგერებაშია, რადგანაც საკმაო ჯარი არა ჰყავს სატევ მოქმედების დასაწყობად. როგორც ამბობენ, განზრახვა აქვთ კრიტის მხედართ-მთავრად საიდ-ედდინ-ფაშა დანიშნონ, რის გამოც იგი გამოხმობილ იქნება ბეირუთიდგანაო.

სტამბოლი. სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს, რომ საბერძნეთის ჯარს ნება არ მისცენ კრიტში გადასვლისა. იმავე დროს პორტამ უარი განაცხადა, ჯარებს არ გავგზავნიო.

სტამბოლი. საბერძნეთის ნაღმიანი გემების წასვლის შემდეგ, ადმირალებს თათბირი ჰქონდათ. „ოქროს რქასთან მდგომ ჯარებმა გუშინ ბრძანება მიიღეს, წასასვლელად მოემზადენითო. განზრახვა აქვს დარდანელის სრუტეში სამოქმედოდ მზად იყოლიონ, 13 ნაღმიანი გემი.

ბელგრადი. ტყუილია ის ამბავი, ვითომც სერბიის სამხედრო მინისტრს განზრახვა აქვს სათადარიგო ჯარისკაცნი მოიწვიოს ჯარშიო.

ბომბეი. სასტიკი ღონისძიებანია მიღებული, რომ შავი ჭირი არ შემოვიდეს: მატარებლებსა და ორთქლმავალ გემებს ისე არ უშვებენ, რომ გულ-დადებით არ გასინჯონ ექიმებმა. ადგილობრივ მკვიდრთა უბნებშიაც სასტიკი ზომებია მიღებული: სასანიტარო კომისიას ნება აქვს დართული დაანგრიოს უსუფთაო და ბინძური სახლები. კამასტურაში აგებენ მეორე საქალაქო საავადმყოფოს შავი ჭირით ავადმყოფთათვის.

ახალი ამბავი

† **ნიკოლოზ ხარაზიშვილი.** ქუთაისში გარდაიცვალა ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლოზ ხარაზიშვილი. ულმობელმა ჰლექმა იმ დროს მოუსწრაფა დღე, როდესაც იგი ამთავრებდა სწავლას და ემზადებოდა სამშობლოს სამსახურს. ამ უდროვო სიკვდილმა ძლიერ დაანაღვლიანა მისი ამხანაგები, რომელთაც ძლიერ უყვარდათ, რადგანაც მათ კარგათ იციან რა პატიოსნების, ხასიათის და მიმართულების პატიოსანი იყო განსვენებული. ქართველს

საზოგადოებას მოაკლდა ერთი მომავალი მშრომელი, ერთი საიმედო პატიოსანი წევრი, რომელსაც ბედმა არ აცალა სამოქმედოდ გამოსვლა... („კვალი“).

⁂ **გ. გედევანოვის ბენეფისი.** ხვალ, 5 თებერვალს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტის გ. გედევანოვისა. წარმოდგენილ იქმნება ორი ახალი პიესა: „ცოლ-ქმრობის ყვავილები“, კომედია-ფარსი სამს მოქმედებათ და კომედიავე „შიშს დიდი თვალები აქვს“. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა არტისტები. წარმოდგენა მეტად საინტერესო იქნება, რადგან, როგორც ისმის, კომედია მეტად მხიარულია და ჩვენს არტისტებსაც ხომ კომედია უფრო ეხერხებათ, მით უმეტეს, რომ ჩვენი ორი საუკეთესო არტისტი ღებულობს მონაწილეობას: მ. საფაროვისა და ვ. აბაშიძე. თვით მობენეფისე აგერ ათიოდე წელიწადია, რაც შესანიშნავის ერთგულობით და სინდისიერად ემსახურება ქართულ სცენას. გ. გედევანოვი ცნობილია, ვითარცა ფრიად ნიჭიერი და განსაკუთრებით ფხიზელი და გონიერი მუშაკი, ყოველს როლს გ. გედევანოვი დიდის ხელოვნებით ასრულებს და მიტომ სიყვარულიც დაიმსახურა საზოგადოებისა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, რომ სიამოვნებით დაესწრობა ამ ბენეფისს.

⁂ **იაკობ იოსების ძე ლაზარაშვილის წირვა და პანაშვიდი.** ორშაბათს, 3 თებერვალს, რომის კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა-პანაშვიდი იაკობ ლაზარაშვილის სულის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა ამავე ეკკლესიის უფროსი მღვდელი პატრი პავლე. მგალობლები იყვნენ იოსებ რატილი შვილებითურთ.

⁂ **კიდევ პუშკინის ფონდზედ.** ჩვენ გუშინ მოვიხსენეთ, რომ კონცერტი პუშკინის ფონდის დასაარსებლად გაიმართება 9 თებერვალსო. ნამდვილის წყაროებიდგან გავიგეთ, რომ ასე მალე ამ კონცერტის გამართვა მოუხერხებელი შეიქმნა. როდის გაიმართება, ჩვენს მკითხველებს ვაცნობებთ.

⁂ **საინტერესო მეჯლისი.** 14 თებერვალს ოდესაში გაიმართება მეჯლისი, რომელიც იმით არის საინტერესო, რომ მეჯლისზედ დამსწრე ქალები ყველანი ალისფერ ჩითის კაბებით უნდა იყვნენ. მეჯლისის შემოსავალი გადადებულ იქმნება ბავშვებისათვის ახალშენის გასამართავათ.

⁂ **სამრევლო საკვირაო სკოლა ვერაზე.** ამ მოკლე ხანში, ვერის საეკკლესიო სკოლის შენობაში გაიმართება ვაჟების სამრევლო საკვირაო სკოლა. ამ საქმის მოთავეობა ეკუთვნის მამა დეკანოზს სოლომონ ელიოზოვს, რომლის საკუთარის ხარჯითა და მეცადინეობით აგებულია თვით ამ სამრევლო სკოლის შენობა. საკვირაო სკოლაში ასწავლიან საღმრთო სჯულს, რუსულსა და ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას, ბუნებისმეტყველებას, საეკლესიო და საერო ისტორიას, პედაგოგიას და ჰიგიენას. სწავლების მოწყობა და გაძღოლა ითავეს სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებმა და ერთმა ჩვენმა ახალგაზდა ექიმმა. („კვალი“)

⁂ **სასანიტარო კრება.** შაბათს, 1 თებერვალს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოწვეულნი იყვნენ ტფილისის ცნობილი ექიმები, ქალაქის სხვა და სხვა უბანთა მზრუნველნი, ხოლერიანობის სანიტართა თავმჯდომარენი და ქალაქის გამგეობა. საგანი კრებისა, რომელსაც დაესწრო თითქმის ასამდე კაცი, იყო ღონისძიებათა შემუშავება შავის ჭირის წინააღმდეგ. წაკითხულ იქმნა ვრცელი მოხსენება ქალაქის სასანიტარო დაწესებულებისა ამ საგნის შესახებ. ამ მოხსენებამ დაღალა საზოგადოება იქამდე, რომ ბევრმა აღარც-კი მოუცადა მის გათავებას. შემდეგ დაიწყეს გაუთავებელი ბაასი მასზედ, თუ როდისა ყოფილა კვლავ ჭირიანობა ჩვენში, რამდენი ხანი უვლია მუსრი ხალხისთვის, სანიტართა მზრუნველნი გამგეობამ უნდა ამოირჩიოს თუ საბჭომა და სხვა საკითხნი, რომელთაც თითქმის არავითარი კავშირი არა ჰქონდა ექიმთა კრებასთან და რომელნიც გამგეობას თითონ უნდა გარდაეწყვიტნა ან კრებამდე, ან იმის შემდეგ. ღამის 11 საათი იქნებოდა, როდესაც ძლივ-ძლივ აღძრეს საქმიანი კითხვები. ამათ შორის უმთავრესი საგანი იყო შესახებ იმისა, თუ სად უნდა გადაყარონ ქალაქის უსუფთაობა, მტკვარში თუ ქალაქ გარეთ. გამგეობის აზრი ის იყო, რომ რადგან მტკვარი მაინც გაჭუჭყიანებულია, შიგ ჩადის უსუფთაობა სხვა და სხვა არხებისა, რომელშიაც გაყვანილია ფეხსადგილების მილები, ამიტომ უნდა აღკრძალულ იქმნას მტკვრის წყლის ხმარება და სიადვილისთვის მტკვარში უნდა ჩაიყარონ ყოველივე ნაგავი და ჭუჭყიო. ექიმების აზრით-კი მტკვარს აღარას გზით აღარ უნდა მიემატოს უსუფთაობა, რადგან მოკლე მანძილის შემდეგ მთელი ეს უსუფთაობა ისევ, ნაპირებზედ გამოვა და საშიშ ნიადაგად გარდიქმნება ჭირის ბაცილების გასამრავლებლადაო. ყველაზე უმჯობესი იქნება, რომ ნაგავი და სხვა უსუფთაობა ქალაქმა ზიდოს მინდორში და იქ ცეცხლი წაუკიდოს ხოლმეო. შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა კრებამ გარდასწყვიტა, რომ ეს საკითხი და აგრეთვე ყოველი საქმიანი მხარე ამ მოხსენებისა გარდაეცეს საექიმო საზოგადოებასო. თავმჯდომარემ ამ საზოგადოებისამ დოქტორმა გაუდელინმა გამოაცხადა, რომ იგი ორშაბათს, 3 თებერვალს, მოიწვევს კრებას და განიხილავს ამ საგნებსაო. ორშაბათისთვის დანიშნულ იყო საბჭოს კრებაც, მაგრამ რადგან საბჭომაც უნდა განიხილოს ღონისძიებანი ჭირის შესახებ და მათ კვალობაზედ გამოიღოს ფული, ამის გამო ქალაქის თავის მოადგილემ საბჭოს კრება გადასდო ოთხშაბათისთვის, რომ გამგეობას შეეძლოს დასწრება ხსენებულ საექიმო საზოგადოების სხდომაზედ.

⁂ **სათათრეთის სომეხნი.** ხმოსანმა ა. დ. როტინოვმა ქალაქის თავის მოადგილეს მიართვა და სთხოვა, რომ ტფილისის გამგეობამ მოსკოვის გამგეობასავით მიიღოს შემოწირულებანი სასარგებლოდ სომხებისა, რომელნიც გამოქცეულან სათათრეთიდამ და შემოხიზნებიან ამიერ კავკასიას. ხმოსნის ანგარიშით ამ გამოქცეულთა რაოდენობა აღემატება 70,000 სულ სომეხს, რომელნიც საშინელს გაჭირვებაში ჩაცვივნულან და ჭირიანობის დროს საშიშ ელემენტს წარმოადგენენ მთელის ჩვენის ქვეყნისათვის.

⁂ **ღვინის მოსავალი კახეთში.** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის ცნობებიდგან სჩანს, რომ კახეთში, (საუფლისწულო მამულებს გარდა), შემდეგი მოსავალი ყოფილა შარშან. თიანეთის მაზრისა და თელავის მაზრის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს 3641 დესეტინა ვენახს მოუცია 236,665 ვედრო ღვინო (ვედრა სამი თუნგია). სულ 718,555 მანათისა. ორთა შუა რიცხვით ერთს დესეტინას მოუცია 648 ვედრა ღვინო. ღვინის ფასი იყო 1 მ. 98 კაპეიკიდგან დაწყებული 3 მანათამდე. საშუალო ფასი იყო 2 მ. 55 კ.—ვედრო.

სიღნაღის მაზრაში და ქიზიყში ერთს დესეტინას მოუცია 13 ვედრო. ქოდალოს ნაწილში სულ არ მოვიდა ღვინო, რადგანაც ვენახები სამჯერ დასეტყვა და ვაზს ავადმყოფობაც გაუჩნდა. ბაკურციხის ნაწილში დესეტინას მოუცია 13 ვედრო ღვინო—ისიც დაბალის ხარისხისა, მაგრამ ვედრა 3 მ. 80 კაპეიკზედ ნაკლებად, მაინც არ გაყიდულა.

ალაზნის გაღმა მხარეს, 24 სოფელში, მაღრანიდგან დაწყებული ახალ სოფლამდე 2,463 დესეტინას მოუცია სულ 144,190 ვედრა ღვინო 460,000 მანათისა. ორთა შუა რიცხვით დესეტინაზე მოსულა 41,3 ვედრა. აქაური ღვინო იყიდებოდა 1 მ. 20 კაპეიკიდგან დაწყობილი 2 მან. 30 კაპეიკამდე. საუკეთესო ღვინო გაიყიდა ვედრა 4 მ. 50 კ.

კახეთში ერთად ღვინო უყიდნიათ: მამულოვს—კარდანახში 10,000 მანათისა, თავ. ანდრონიკაშვილს—იქვე—9,000 მანათისა, როსტოვის ვაჭარს ამირხანოვს—ბაკურციხეში—4000 მანათისა და პეტერბურგის ვაჭარს—გოძიევს—გურჯაანსა და ველის-ციხეში—8000 მანათისა.

⁂ **პურის მაღაზიებზე ტფილისის გუბერნიაში.** «ნედელია»-ს

თეატრის მატიანე.

რადეცკის ლექციები

(მშობელთა და მასწავლებელთა საყურადღებოდ.)

პეტერბურგში ბავშვების ფიზიკურად აღზრდის და მთელს რუსეთში ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოების წევრი ბ-ნი რადეცკი, რომელიც წარსულს ზაფხულს, ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში, სრულიად რუსეთის გამოფენაზედ ჰკითხულობდა ლექციებს ახალ თაობის ფიზიკურად აღზრდის შესახებ, ამ ჟამად ეწვია ტფილისს. როგორც უკვე მკითხველებმა უწყიან, ბ. რადეცკი ათი წელიწადია, რაც რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში მოგზაურობს, კითხულობს ლექციებს და აარსებს ბავშვების ფიზიკურად აღზრდის მფარველ საზოგადოებას. ის საგანი, რომელიც პატივცემულ ლექტორს აუღია საქადაგებლად, იმდენად საგულისხმიერო და ჭეშმარიტია ყველასათვის, რომ ყველა, ვისაც-კი ძვირფასად მიაჩნია ახალთაობის ბედნიერება, გონიერად აღზრდა ბავშვებისა, რომელშიაც იხატება ერის მომავალი იმედი, დიდს ყურადღებას აქცევს ლექტორის მიერ აღძრულს საკითხებს.

ჩვენც ვეცდებით გადავცეთ მკითხველებს მოკლე შინაარსი ბ-ნ რადეცკის ლექციებისა, რომელიც წაკითხულ იქმნა პატივცემულ ლექტორის მიერ შაბათს, 1 თებერვალს, სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში შემდეგის სათაურით: „ახალთაობის ფიზიკურად სისუსტის მიზეზი, და რა აკლია ჩვენს ბავშვებს“, რომელშიაც ბ. რადეცკიმ განუმარტა საზოგადოებას, რომ საკითხი ბავშვებისა და საზოგადოთ ახალთაობის მოქანცულობაზე, სხეულის უნოყივრობაზე და უძლურებაზე დიდი ხანია აღელვებს საზოგადოებას, არა მარტო რუსეთში, საზღვარ-გარეთაც. მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი და ლაპარაკი, ტირილი, გოდება და მარტო გოდება, წუხილი და მარტო წუხილი ძრიელ ცოტაა. დასავლეთ სახელმწიფოებში ამ საგნის შესახებ დიდი ხანია დაიწყეს შეერთებულის ღონით, ერთობილის ძალით მუშაობა. იქ, დასავლეთ სახელმწიფოებში, ამ ჟამად ყველგან არსდება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოება, ბავშვების ფიზიკურად აღზრდისა და ხალხთა შორის ჰიგიენის წესების გამავრცელებელი საზოგადოება, რომელთაც ლექტორი უწოდებს საერთო სახელს «განმაახლებელ საზოგადოებას» (общество возражденія), რადგანაც უმთავრესი და უახლოესი დანიშნულება ხსენებულის საზოგადოებისა მდგომარეობს, განაახლოს და აღადგინოს ფიზიკური ანუ სხეულის ძალა მოზარდ თაობაში, რომელთაც ცხოვრების სხვა-და-სხვა პირობებისა გამო ეტყობა, როგორც ხორციელი, ისე სულიერი უძლურება და მოქანცულობა. ლექტორის სიტყვით, დასავლეთ ევროპაში ამისთანა საზოგადოება ათასობით და ათი ათასობით ითვლება, რომელთაც შესაფერი საშუალებაც აქვთ მოპოვებული და შეძენილი.

შეეხო რა ბავშვების აღზრდას საზოგადოთ, ლექტორმა უჩვენა ის პირობები, რომელშიაც იმყოფება ბავშვი ოჯახსა და სკოლაში. თავისს სიტყვების დასამტკიცებლად ლექტორმა მიჰმართა პროფ. ვერიგოს გამოკვლევას; პროფესორ ვერიგოს გამოუკვლევია საშუალ სასწავლებლებში ჰაერის მდგომარეობა ღ აღმოუჩენია, რომ სასწავლებლებისათვის ბევრი ისეთი შენობებია, სადაც ჰაერის ათი-ათას მოცულობაზე 96 მოცულობა ნახშირ-მჟავე ყოფილა პეტენკოფერის სისტემით, ანუ სხვანაირად: ნაცვლად 200 ბოთლ სუფთა ჰაერისა თითო მოწაფეზე მოდიოდა 170—180 ბოთლი გაფუჭებული ჰაერი; ლექტორის სიტყვით, იმავე პროფესორს ვერიგოს გამოუკვლევია შავ-მუშათა თავ-შესაფარი და აღმოჩენილა, რომ მუშათა თავშესაფარში გათენებისას ოთხ ნახევარჯერ უფრო სუფთა და უკეთესი ჰაერი ყოფილა, ვიდრე ზოგიერთს საშუალო სასწავლებლებში მესამე გაკვეთილის შემდეგ. ლექტორმა ბევრი ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სუფთა ჰაერს, და რამდენს უმეცრებას იჩენს ჰიგიენაში ადამიანი. სხვათა შორის, უჩვენა ისეთი ნაკლულევანება, როგორიც არის ჰაერის შიში (воздухобоязнь) და გატაცება სკოლებში სამხედრო გიმნასტიკით, რომელიც, ლექტორის აზრით, ავიწროებს და ჩაგრავს ბავშვის სულსა და სხეულს; ოთხი-ხუთი საათის გონებითის შრომის შემდეგ გიმნასტიკა დასვენებას კი არ შეადგენს, არამედ წვალებასა და ტანჯვასაო.

ძალიან დაწვრილებით ღ დაბეჯითებით იბაასა ლექტორმა კორსეტების ხმარების და საზოგადოთ მოდის წინააღმდეგ. თვალსაჩინოდ დაუხატა საზოგადოებას, თუ რა მავნებელი და ცუდი შედეგი მოჰყვება საზოგადოთ კორსეტის ტარებას. დიდი ქალაქების ფაბრიკებიდან, სადაც აკეთებენ კორსეტებს, წარმოადგინა ისეთი ცნობები, რომლიდამაც სჩანს, რომ საზოგადოებაში თან-და-თან იზრდება მოთხოვნილება პატარა და ვიწრო კორსეტებზედ. ეს გარემოება ცხადი დამამტკიცებელია გადაგვარებისა და შემდეგი თაობის დაუძლურებისაო. ზოგი ამბობსო, სთქვა ლექტორმა, რომ კორსეტი საზოგადოთ სხეულს სიკოხტავეს და სილამაზეს აძლევსო, მაგრამ ამ ნაირი შეხედულება უფრო დამახინჯებული და გაფუჭებული გემოვნების შედეგიაო. აბა რომელი ეხლანდელი კორსეტოსანი შეედრება სილამაზით და მოხდენილ ტანადობით ძველ ბერძნებისა და რომაელების ქალებს, რომელთა გამოქანდაკებულებას დიდს ქალაქებში აღტაცებაში მოჰყავს ყველა გონიერი და გემო გაუფუჭებელი ადამიანი.

ლექტორმა უჩვენა ბევრი მიზეზები, რომელთაგანაც დამოკიდებულია საზოგადოთ ჭლექით ავადმყოფობა. მსმენელთა ყურადღება მიაქცია ჰაერის მიშიშრობაზე (воздухобоязни) და საზოგადოთ სახლების, ეზოების და სკოლების ურიგოთ მოწყობაზე. სახლში ბავშვები მოკლებულნი არიან სუფთა ჰაერს, ქუჩებში იძულებულნი არიან ყლაპონ მტვერი, რომელსაც მოჰყვება ბევრნაირი ავადმყოფობა. 1885 წელს პროფესორმა პავლოვსკიმ პეტერბურგში, სამხედრო მედიცინის ანატომიურ ინსტიტუტის ჰაერში აღმოაჩინა ბიკლოკები, რის გამოც ხდება ფილტვების ერთ გვარი ანთება; იმავე ინსტიტუტის ჰაერში პროფ. პავლოვსკიმ აღმოაჩინა კიდევ თეთრი გროზდეკოკი და ყვითელი მიკროკოკი. 1888 წელს ექიმმა კორნეტმა აღმოაჩინა ჰაერის მტვერში ჭლექით ავათმყოფობის მიზეზი (бугорковыя палочки), მანვე აიღო მტვრის 147 ნიმუში და აუცრა 390 ცხოველს, რომლისაგანაც ჭლექით ავად გახდა 59 (15%) და სხვა სენით მოკვდა 196 ცხოველი (50%). დოქტორმა გეინცელმა 1891 წელს მტვრის 9 ნიმუშში აღმოაჩინა 145 თესლი სენისა (палочекъ столбняка); ამავე დროს ვოლგაზე გემების მტვერში დოქტორმა გრუზცევმა აღმოაჩინა ციმბირის ჭირის მიზეზები; უკანასკნელ დროს ნეაპოლში მტვერში აღმოუჩენიათ სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გამჩენი სოკოები. დოქტორს მოგუელს პარიზის საავადმყოფოში ერთს კუბიკურ მეტრ ჰაერში აღმოუჩენია 7,510 სოკო (микробы), მეორე საავადმყოფოში იმდენსავე ჰაერში აღმოუჩენიათ 26,900 სოკო; პარიზის ქუჩებში აღმოუჩენიათ 3,480 სოკო ერთს კუბიკურ მეტრ ჰაერში. დოქტორმა სტრაუსმა პარიზში აღმოაჩინა შემ-

უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია კონსტ. ამ—ის წერილი შემდეგის სათაურით: „Кавказская утопія“ (კეთილი, ხოლო შეუძლებელი სურვილი კავკასიისა), რომელიც მიმართულია „საზოგადო პურის მაღაზიებზე“, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად შემოიღო ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა თავისს გუბერნიაში. ბ-ნი კონსტ. ამ—ი ხშირად სწერს „ნედელიაში“ ეკონომიურ წერილებს საქართველოზე. სხვათა შორის მოჰყავს სტატისტიკური ციფრები, რომლიდგანაც სჩანს, რომ მთელს გუბერნიაში ამ ჟამად ირიცხება ვალად (ნედოიმკა) 4,845,000 მან. და მარტო მაზრებზე 1,446,000 მან. აქედან აშკარადა სჩანს, თუ რა უკიდურესს მდგომარეობაში არიან გუბერნიის გლეხ-კაცობაო, ხოლო შვიდი წლის განმავლობაში საზოგადო მაღაზიებმა შეაგროვეს 100,000 მან. პური და 864,000 მანათი ფულადო, ასე რომ ამ ჟამად გლეხ-კაცობას მთელს გუბერნიაში აქვს ერთი მილიონი მანათის საკუთრებაო. მერე ავტორი ჰკიცხავს თვით წესრიგს მაღაზიებში პურის მოკრეფისას, ამბობს, რომ ბევრი უწესობა ხდება, ხალხს ატყუილებენ სხვა-და-სხვა ადმინისტრაციის მოხელენი და არავითარი საშუალება არ არის ყური უგდონ და კონტროლი გაუწიონო და არც არავინ ცდილობს ამ კონტროლზეო. დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათო, რომ ხალხს შეგროვილი ერთი მილიონი სულ უკანასკნელ სამ მილიონად დაუჯდებოდა უწესობის და ურიგობის გამოვო; თუმცა, მართალია, საზოგადო მაღაზიების წესდება კარგი რამ არის, მაგრამ წესდების აღმსრულებელნი ისევ პოლიცია არისო და აბა სად გინახავთ, რომ პოლიციას რაიმე საზოგადო საქმე გაეკეთებინოსო და ბოლოს დასძენს: ამდენ ფულს და ქონებას მოვლა უნდა, რომ ისევ ხალხს მოხმარდეს საკეთილ-დღეოთო და ჩვენში, საქართველოში, რომ ერობა იყოს დაწესებული, მაშინ ხალხის ქონებას პატრონი ეყოლებოდა, მაგრამ ერობის შემოღება ჩვენთვის ჯერ-ჯერობით შორეული ოცნება არისო.

*** **ბედის-წერით გადარჩენილნი.** სოიცარ ამბავს გვწერენ სოფ. სამიქაოდან. იანვრის 27, საღამოს 9 საათზე, მღვდლის ილარიონ იაშვილის სახლში შემდეგი უბედურება მომხდარა. შენობას, თურმე, კოჭები ჰქონია ჩამპალი და ხსენებულ ჟამს ერთი კოჭი ჩამტვრეულა და მთელი მეორე სართულის იატაკი ბარგ-ბურგიანად და ავეჯეულობით ქვემო სართულში ჩაცვივნულა და მასთან ჩაცვივნულან ხუთი სული. თუმცა ზოგიერთებს თავპირი დაეფხაჭნა და დაეჟეჟილან, მაგრამ რაღაც ღვთის წყალობით და ბედის წერით ყველანი ბედნიერად გადარჩენილან და არავინ დაშავებულა.

*** **უცნაური წინასწარგრძნობა.** ბევრი უცნაური ამბები ხდება ქვეყანაზედ, მაგრამ ისეთი უცნაური არც გვინახავს და არცა გვსმენია-რა, რაც მოხდა ამ რამდენსამე ხნის წინად ქ. კავკავში. ერთი დარბაისელი სამხედრო უშუების ექიმი კ—სკი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად აქაურ სამხედრო სამკურნალოს უფროსად იყო, წარსულ თვის 24-ს ავად გამხდარა; მეორე დღეს დაუბარებია თავისი ნათესაობა და გამოუცხადებია: მე ექვსი დღის შემდეგ მოვკვდები, ასეთი წინასწარგრძნობა მაქვსო და ამიტომ თქვენ ეხლავე მომზადენით: შავები შეაკერინეთო, კუბოს მე თვითონ შევუკვეთავო და მართლაც კუბოც შეუკვეთინებია, ნათესავებს-კი შავები მოუმზადებიათ დეიკარხანოვის მაღაზიაში. დამდგარა 30 იანვარიც, როცა ხსენებული კ—სკი უნდა გარდაცვლილიყო, თანხმად წინასწარმეტყველობისა და წინასწარგრძნობისა, მაგრამ ავადმყოფი პირიქით უფრო გამოკეთებულა და ფეხზე წამომდგარა. როცა ნათესავებმა და ნაცნობებმა იუცხოვეს, თურმე, ეს ამბავი და ჰკითხეს: აკი სიკვდილს აპირებდი დღეისთვისო; რა ვქნაო, უპასუხნია უცნაურ წინასწარმგრძნობს, უნდა მომკვდარიყავ და არ ვიცი, რატომ არ მოვკვდიო. ასე და ამ რიგად ნათესავებს ხარჯი მოსვლიათ შავებზე და თვითონ კუბოზე დახარჯვია კარგა ბლომად ფული, რადგან კუბო საგანგებოდ ყოფილა მომზადებული.

*** გამოვიდა და დღეს დაურიგდება ხელის მომწერლებს თებერვლის ნომერი „მოამბისა“. შინაარსი: „სამანიშვილის დედინაცვალი“.—მოთხრობა დავ. კლდიაშვილისა (დასასრული), „რამას განდევნა“.—პოემიდან „რამაიანი“, თარგმანი გერმანულიდამ ალ. ს—შვილისა, „მოლიპულ გზაზე“.—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება). „თუშური ლექსები“. —შეკრებილი დ. როსტომაშვილის მიერ, „ბრჭყალები“.—დრამა სამ მოქმედებად თარგმანი ი. მ—ანისა, „როდესაც სევდა წამიღებს“.—ლექსი შ. მღვიმელისა, „გლეხი-კაცის ისტორია“. — ნაწილი პირველი.— ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა, „ვეფხის ტყაოსნის“ ყალბი ადგილები. — XXIX — XXX— XXXI.—ალ. ს—შვილისა, „პედაგოგიური განყოფილება სრულიად რუსეთის გამოფენისა ნიჟნი-ნოვგოროდში“,—ლ. ბოცვაძისა (დასასრული).

*** **ხარაგაული.** 2 თებერვალს, ხარაგაულსა და მარელისს შუა 147 ვერსზე დიდი ზვავი ჩამოწვა. მატარებლების მიმოსვლა დილის ცხრა საათის ნახევრიდამ ნაშუადღევის პირველ საათის 35 წამამდე შეჩერებული იყო. მიმოსვლა მხოლოდ პირველის 35 წამზედ დაიწყო.

სასამართლოს მატიანე.

დიდზურაბოვის და ალელოვის საქმე.

ქალაქ ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ ამ დღეებში გაარჩია საინტერესო საქმე დიდზურაბოვისა და ალელოვისა. პირველი სდებდა მეორეს ბრალს: სიტყვით და მოქმედებით შეურაცხყოფა მომაყენაო.

დასახელებულ მოწმეთა შორის გამოცხადდა ბ ნი ადამიძე, რომელმაც აჩვენა შემდეგი: „5 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში ვაქრობა იყო დანიშნული; მე და ალელოვი ვიდექით კუთხეში და ვმუსაიფობდით. ჩვენთან მოვიდა ბ-ნი დიდზურაბოვი და მიჰმართა ალელოვს ქართულად: „შენც სავაჭროდ მოსულხარ? მამამ დაგიტოვა იმოდენა საცხოვრებელი, სიკვდილის წინა დღეს მეც ყველაფერს შენთვის გავუშვებ“. ამ ზედ ალელოვმა ხუმრობით მიუგო: „შენ შენი შვილებისთვის გაუშვიო“. ადამიძის აღსნით ეს სიტყვები საწყენია. ამის შემდეგ, განაგრძო მოწმემ, ალელოვი გაგვშორდა. მაშინ დიდზურაბოვმა გამიხმო ცალკე და მითხრა: ხომ ნახე, შეურაცხყობა მომაყენა, მაგრამ ვიჩივლებ და ერთი 500 მანათს ავაძრობ, მდიდარი კაცია, რა უშავს. შენ უნდა მოწმედ გამომყვე. მეც ვუთხარი: „კარგი“, მეთქი, სრულიად დარწმუნებული, რომ ხუმრობდა.

მოსამართლემ გაამართლა ალელოვი და დიდზურაბოვის საჩივარი სცნო „უსინიდისო საჩივრად“.

ახალი გამოგონება

უდიდესი ხიდი. ამ ჟამად მთელს ქვეყნიერობაზე უდიდეს ხიდად ითვლება ლიონის ხიდი სანანგას ახლო ჩინეთში. ეს ხიდი გადებულია ყვითელ ტბაზე, სიგრძე ამ ხიდისა 4750 საჟენია, ანუ $9^1/_2$ ვერსი. ხიდი სდგას 300 უზარ-მაზარ ქვითკირის ბურჯებზე; ბურჯსა და ბურჯს შუა ერთი მესამედი ვერსის მანძილია. თვითონ ხიდი წყალზე (ტბაზე) 30 არშინის, ანუ ათი საჟენის სიმაღლეზეა ამართული. ამ ხიდზე ფეხით გავლას კაცი უნდება თითქმის ორ ნახევარი საათი.

რკინის გზის მუზეუმი. ცნობილი ინგლისელი კლიმენტი სტრეტტონი, რომელსაც ზედ მიწევნით აქვს შესწავლული რკინის გზის საქმე, ამ ჟამად, თურმე, ცდილობს ინგლისში დაარსოს ეგრედ წოდებული რკინის გზის მუზეუმი. რა თქმა უნდა, ეგ მუზეუმი მეტად საინტერესო და შესანიშნავი იქნება, რადგან ინგლისში რკინის გზის საქმე ისეა დაყენებული, როგორც არც ერთს ქვეყანაში ქვეყნის ზურგზე, და ბევრი ძველი მასალებია დარჩენილი წინანდელ რკინის გზების მასალებიდან. ჯერჯერობით დაბრკოლება, თურმე, იმაზეა, რომ სამყოფი ფული ვერ მოგროვილა და არც შესაფერი ადგილი აქვთ,

---

დეგი: საავათმყოფოში, სადაც ჩვეულებრივს დროს ერთი კუბიკური მეტრი ჰაერი იპყრობდა 1,500— 2,000 ნასახს ჰირისას, დაგვის შემდეგ, ჰაერის იმავე მოცულობაში აღმოჩენილა 466,000 ნასახი. დოქტორის ესმახის გამოანგარიშებით, ოთახის კედლებზე, რომელსაც სიმაღლე 3 და სიგრძე ხუთი მეტრი აქვს, არის დაახლოვებით 970,200 სოკო. აი ის ჰაერი, რომელშიაც იმყოფებიან ბავშვები ქალაქებშიო.

სხეულის სისუსტისა და სისხლის ნაკლულევანების შედეგათ ლექტორმა აღიარა პესიმისტობაც. სისხლის დაკლება, ანუ ანემია შეადგენს საზარელს სასჯელს ადამიანისათვის, რომელზედაც ეს სენი ყველაზე უფრო ცუდათ მოქმედებს. სხვა მიზეზთა შორის, რომელთაც ახალთაობა მიყავს პესიმისტობამდის, ლექტორმა უჩვენა ყველა ის არა—ნორმალური პირობები ცხოვრებისა, რომელშიაც იმყოფება ახალთაობა. დასასრულ ლექტორმა განაცხადა: საჭიროა, რომ ყველგან დაარსდეს ბავშვების ფიზიკურად აღზრდის დამხმარებელი საზოგადოება, როგორც არსებობს ამერიკაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ნორვეგიაში, და ჩინეთ-იაპონიაშიც. ამ საზოგადოების მოქმედებათა შედეგი ცხადათ სჩანს მათის ანგარიშებიდგან. საზოგადო თამაშობამ, რომელიც დიდი ხანია შემოღებულია ხსენებულ სახელმწიფოებში, დიდი ხანია ყველას ყურადღება მიიპყრო, ჩვენში კი ჯერ მხოლოდ სალაპარაკოდ არის გახდილი. აგერ არსდება აქა-იქ რუსეთშიაც საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს, დაეხმაროს ახალ-თაობის სხეულის აღზრდას. ამისთანა საზოგადოება არის პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში.

ამის შემდეგ პატივცემულმა ლექტორმა საბაასო საგნად აიღო ქუჩის ბავშვების მდგომარეობა საზოგადოთ. განათლებულსა და შეგნებულს ქრისტიანულ საზოგადოებაში არ უნდა იყვნენ ბედის წერაზე მიგდებული და ყოველგვარ ტანჯვისა და წვალებით აღვსილი ბავშვები. ლექტორი დაწვრილებით შეეხო და გააცნო საზოგადოება ღარიბ ბავშვების მდგომარეობას დიდს ქალაქებში, სადაც ლექტორის სიტყვით, უბედური ბაშვები, სხვა-და სხვა პირობათა გამო, მოკლებულნი არიან წესიერად გამართულს ბავშვებისათვის მფარველობას. დაეხეტებიან ქუჩებში სამათხოვროდ და, რადგანაც გარს არტყიათ ბევრი მაცდურობაც,—ხშირად მოხვდებიან ისეთს მიყრუებულსა და დაფარულს ადგილებში, სადაც სრულიად იღუპებიან და იხრწნებიან, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივადაც. ლექტორმა ნათლად დაუხატა დამსწრე საზოგადოებას უბადრუკი მდგომარეობა და დაღუპვა მფარველობას მოკლებულ ბავშვებისა, რომლებიც ხდებიან უმეტესად ქალაქის ცხოვრების არა ნორმალურის პირობების მსხვერპლად. ლექტორმა დაანახვა საზოგადოებას, თუ რამდენი ღონე და საშუალება ეკარგება საზოგადოებას, როდესაც საწყალი და ბედშავი ბავშვები არ არიან გარშემორტყმულნი მფარველობის გონიერ საშუალებით, რომ მიგდებულისა და ალალ-ბედზედ აღზრდილის ბეჩავ ბავშვებისაგან გამოდიან საზოგადოების მავნებელნი წევრნი და ავაზაკებიც, რომელთა შენახვა ძრიელ ძვირად უჯდება საზოგადოებას და სახელმწიფოს. ლექტორმა მსმენელთა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ხშირად ქუჩებში მოტანტალე და მათხოვარა ბავშვები შეხვდებიან ქალაქის მკვიდრთა ბავშვებს, რომლებზედაც ცუდი გავლენა აქვთ, რადგანაც ხშირად გაიტყუებენ მივარდნილსა და მიყრუებულს ადგილებში და გადაქმნიან მათ ისეთ მავნებელ არსებად, როგორიც თვითონ არიან. ამისთანა გარემოებასთან საბრძოლველად, ლექტორის აზრით, საკმაო არ არის მარტო შემთხვევითი ქველ-მოქმედება და კერძოობითის წვლილის გაღება; ამისათვის საჭიროა, რომ ყველა დიდ ქალაქებში დაარსებულ იქმნას დღიური თავშესაფარი, სასადილოები და „ბაგა“ (ЯСЛИ) და სხვა იმისთანა დაწესებულება, რომელიც უმსუბუქებს ღარიბ-ღატაკ მცხოვრებს ყოველ-დღიურ შრომით ბრძოლას ცხოვრებასთან, არ აკალკევებს მშობლებსა და შვილებს, არ ასუსტებს ნათესაობითს კავშირს და გრძნობას, არ მოაკლებს ბავშვებს მშობლის ზრუნვას და ალერსს, რომელიც ჰშვენის ოჯახის წევრთა შორის საჭირო და სასურველ კავშირის დაცვას; ამას მოკლებულნი მშობლები და შვილები მიდიან სხვა-და-სხვა მხრით და ხდებიან ერთმანეთისათვის უცხონი. დღიური თავშესაფარი, სადაც ინახვენ და უვლიან საწყალს ბავშვებს დილის 5—6 საათიდამ საღამომდის და სადაც ასწავლიან წერა-კითხვასთან ხელ-საქმესაც, ყველაზე უფრო გავრცელებულია ოდესაში, რომელიც ამ მხრით ბევრს რუსეთის დიდს ქალაქებზე წინა დგას. რაც შეეხება ბავშვებისათვის დახურულს თავშესაფარებს, რომლებიც ინახება კერძო საშუალებით საქველმოქმედო საზოგადოებისგან, ლექტორის აზრით, ვერ არის კარგს ჰიგიენიურსა და პედაგოგიურს პირობებში, ვერ ამზადებენ ბავშვებს შრომით ცხოვრებისათვის და მისთვის ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, მიზანს.

ქუჩის ბავშვებზე გახრწნილობითის გავლენის მიზეზებთან საბრძოლველად ლექტორის აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს გაშლილს ჰაერზე საბავშვო ბაღებს, სადაც იკრიბებიან საზოგადო სცთამაშოდ ბავშვები სხვა-და სხვა წლოვანებისა და ჰპოულობენ კმაყოფილებას—ბუნებით მიმზიდველობაში. ამისთანა ბაღებში გაშლილს სუფთა ჰაერზე ბავშვები თამაშობენ, მღერიან, კითხულობენ და, რადგანაც გამოცდილ მასწავლებლების ყურადღების ქვეშ იმყოფებიან, ამიტომ შესამჩნევად უმჯობესდებიან ყოველის მხრით. „საბავშვო ბაღი ჰაერზე“—რუსეთში პირველად გამართულ იქმნა ოდესაში, ამის მიხედვით უკანასკნელ დროს რუსეთის სხვა ქალაქებშიაც იმართება იმისთანა ბაღები, რომლებიც შველიან აღზარდონ ბავშვებში საზოგადოებრივნი გრძნობანი და გაუმაგრონ სხეული; ამიტომ ამისთანა ბაღები სასურველია საზოგადოდ ყველა ბავშვებისათვის.

დასასრულ ლექტორმა უჩვენა აუცილებელ საჭიროებაზე, რომ გამართულ იქმნას „ბავშვების მფარველი საზოგადოება“ უფრო ფართო საფუძველზე, რადგანაც წუხილი საწყალ ბავშვებისა საზარელია და მფარველობა კი შემთხვევითი და ამიტომ არა საკმარისი. ამისთანა საზოგადოება მთელს რუსეთში მხოლოდ ორს ადგილას არის, პეტერბურგში და მოსკოვში. თუ საზოგადოება გაიმსჭვალება ღრმა შეგნებით, რომ ახალი თაობა იქმნას აღზრდის კარგს პირობებში, დაასრულა ბ. რადეცკიმ თავისი მეორე ლექცია, მაშინ ცხადია გამოჩნდებიან უფრო სასარგებლო და ჯანსაღი კაცები, და მოქალაქენი, რადგანაც „ბავშვებში არის კაცობრიობის მომავალი და მხოლოდ ბავშვებით იძენს ხალხი სრულ-მყოფლობას და აღწევს ბედნიერებას.“ ბ. რადეცკის ლექციამ საზოგადოთ კარგი გავლენა იქონია საზოგადოებაზე; ბევრმა განაცხადა სურვილი გამხდარიყვნენ წევრებად და ბევრნი კიდეც ჩაეწერნენ. ბ. რადეცკის აზრით ტფილისში უნდა დაარსდეს პეტერბურგის „ბავშვების მფარველ საზოგადოების“ განყოფილება, და ამ განყოფილების წევრებად უკვე ჩაეწერნენ ორასამდე პირნი ორივე სქესისა.

ლ. ბოცვაძე.

გან ამ მუზეის მეტად დიდი ადგილი დასჭირდება. ეს მუზეი მეტად სასარგებლო იქნება ყველა იმ მოწაფეთათვის, რომელნიც რკინის გზის საქმეს სწავლობენ და საზოგადოთ ყველა ინჟენერებისა და ტეხნიკებისთვის.

—

ახალი ელექტრონის კანდელი. საფრანგეთში ფანისტერესს დეპარტამენტში ჰმართავენ ახალს ელექტრონის კანდელს, რომლის სანათურის ძალა თურმე საოცარი იქნება, რადგან მისი სინათლე 36 მილიონ სანთლის ძალას აღემატება, სიგრძე ექნება 10 საჟენი. მისი სინათლე ღამით გამოჩნდება 105 ვერსის სიშორეზე. მარტო ელექტრონის სინათლეზე დაიხარჯება თურმე 27,000 მანათი.

—

ახალი ლითონის (ალუმინის) ფულები. ამერიკელები ხომ განთქმულნი არიან თავიანთ უცნაურის და პრაქტიკულის გამოგონებით. ამ ცოტას ხანში ამერიკელებს ექნებათ სახმარებლად ახალი ლითონის ალუმინიის ფულები. სახელმწიფო ხაზინადარს უკვე ნებართვა მიუღია მთავრობისაგან, რომ მოსჭრას ალუმინიის ფულები. ახალი ლითონის ფულები იაფ ფასიანები იქნება; თითო გროშიანები, ორ-ორ გროშიანები და შაურიანები. ცნობილია, რომ ალუმინის ლითონი მეტად მსუბუქია და ძრიელ სასურველია, რომ მცირე ფასიანი თითბრის ფულები ყველგან შეიცვალოს ალუმინის ფულებად, რადგან ერთი ოცდა ხუთად მაინც უფრო მსუბუქია და ვერცხლივით წმინდა და შნოიანი.

—

ქაღალდის იატაკები და სახლები. ერთს გერმანელს გამოუგონია ისეთი ქაღალდი, რომლიდამაც შეიძლება იატაკების და თვით სახლების აშენება. ცნობილია, რომ ეხლანდელი ჩვენი ფიცრის იატაკები ბევრს მიკრო-ორგანიზმებს და მრავალ სხვა-და-სხვა მავნებელ ბაცილებს და სხვა რასმე იბუდებენ ფიცარ და ფიცარ შუა. ამ ახლად მოგონილს ქაღალდს ეწოდება პაპიროლიტი, ესე იგი ქაღალდის ქვა. ამ ქაღალდს ამზადებენ ოთხ-კუთხიან ჯირკვებივით. სიგრძე-სიგანე ექნება სამი-ოთხი არშინი, წონა თითო ოთხ-კუთხედისა სისქისა და გვარად ფუთ-ნახევრიდან ექვს ფუთამდეა. ამ ქაღალდისაგან აშენებულ სახლებს და შენობებს ის უპირატესობა აქვს სხვა მასალებთან, რომ ზამთრობით ისინი ბევრად თბილია სხვა მასალის შენობებზე და ზაფხულობით კიდევ გრილი და სასიამოვნო სადგომი, რადგან ცნობილია, რომ მზე ისე არ ახურებს ქაღალდს, როგორც სხვა მასალებს. სინესტე რომ არ იყოს ამგვარ სადგომებში, შენობების ძირს ფილით გალესავენ ხოლმე და სინოტიო სრულებით არ ეკარება. ცეცხლის გაჩენის შიშიც ნაკლებია. ერთის სიტყვით, პაპიროლიტის შენობები ყოვლად სასარგებლო და ფრიად მოხერხებული გამოგონებაა.

ერთს მარჯვე გერმანელს აღუთქვამს ერთის ქალაქისთვის: მთელს სობოროს აგიშენებთ ამ ახლად გამოგონილ პაპიროლიტისაგან, საძირკვლიდან მოყოლებული თვით სამრეკლოს გუმბათამდე, სულ ქაღალდისა იქნება და ქაღალდის მეტი სხვა მასალა არა გაერევა რაო.

საოჯახო ცნობები

სხვა-და-სხვა ლითონის გაწმენდა.

—

ვერცხლი ნიშადურით კარგათ იწმინდება. ერთი ჩაის კოვზი ნიშადური ერთ ფინჯან წყალში უნდა გაურიოს და იმაში დასველებული მჩვრით მარდად იხეხოს ვერცხლეული.

ზოგნი ვერცხლეულს ცხელი საპონწყლით ჰრეცხენ, რბილი ჩოტკის წასმით, შემდეგ სუფთა წყალში ავლებენ და წმინდა ტილოთი ამშრალებენ.

ძალიან ჭუჭყიანი ვერცხლეულის გასაწმენდად თავის მსგავსად უნდა აირიოს ერთმანეთში ისპანური ფერი (испанскія румяна) და ღვინის სპირტი; ამით უნდა გაიხეხოს ჭუჭყიანი ვერცხლეული და კიდრე გამშრალდებოდეს ხნატით (ზამშით) იხეხოს.

აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ოჯახში საჭირო რამდენიმე ნაჭერი ხნატი იქონიონ სხვა და სხვა გარემოებაში სახმარებლად.

თუ ვერცხლეული ბადისებური ნაკეთებია (ახალციხური ხელოვნების გვარად) და იმის გაწმენდა არის საჭირო, მაშინ იგი მაგარ ტუტაში (поташъ) უნდა გაიხეხოს, მასუკან წყალში გაივლოს და შემდეგს შედგენილებაში ჩაიდოს:

მარილი	1	წილი
შაბი	1	—
გვარჯილა	2	—
წყალი	4	—

ამ შედგენილებაში ვერცხლეული ხუთის წამით ჩაიშვას, მერე ცივ წყალში გაივლოს და ხნატით გაიწმინდოს.

გაშავებული (რამე სიმყავისაგან) ვერცხლეულის გასათეთრებლათ ორმოც წილ წყალს ერთი წილი გოგირდის მჟავედი (сѣрная кислота) უნდა გაერიოს და შიგ ჩაიდოს; როცა სიშავე გადუვა, სუფთა წყალში გაივლოს და ტილოთი გაიწმინდოს.

ვერცხლეულს ლიმონითაც სწმენდენ. და სუფთა წყალში რეცხენ, მერე ხელახლად საპნის ქაფში რეცხენ, კიდევ სუფთა წყალში ავლებენ და რბილი მჩვრით ამშრალებენ, ბოლოს ხნატი ტყავით სწმენდენ.

ვერცხლი და ნიკელი ელვარებას არა ჰკარგავს თუ ნიშადურის სპირტში დასველებულ მჩვრით გაიწმინდება ხოლმე.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

დამდეგის წლის 6 თებერვალს დანიშნულია ოლქის სასამართლოში საჯარო ვაჭრობა ვაჭარის მიხეილ ივანესძე ნიკოლოსოვის უძრავ მამულზე, მდებარე ბარონის ქუჩაზე № 13 და მდგომარე ორ სართულიან სახლში და იმ გვარსავე ფლიგელში, 70 ოთხკ. საჟ. მიწით. საქმის ნახვა მსურველთ შეუძლიან სასამართლოს კანცელარიაში ყოველდღე.

ამავე რიცხვს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ოლქის სასამართლოში ვაჭარის ივანე ტელიაფუჩის უძრავ მამულზე, მდებარე პირველსა და მეორე მადაკნის ქუჩებზე, მდგომარე ორ ნაჭერ მიწაში ზომით 1045½ ოთხ-კუთხი საჟ, საქმის ნახვა მსურველთ შეუძლიან ყოველდღე სასამართლოს კანცელარიაში.

—

15 თებერვალს ტფილისში გზათა მმართველობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა ორ საყარაულოს გასაკეთებლად. ერთი უნდა გაკეთდეს ახალციხე-აბასთუმანის გზა ტკეცილზედ 2970 მანათად და 52 კაპ., მეორე აბასთუმანში—5232 მან. და 75 კაპ.

—

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაგვისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

—

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. პანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წლის, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) კნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა 1/16 ნაწილი „საციციანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ეკვანტია გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით საკანელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ჩედიძესი.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

ეტლების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის.

ტფილისიდან

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში, მეორე 8 ს. დილით გადიან, ღამეს ათენს ფასანაურში. მოდიან კავკავში, პირველი საღამოს 6 ს. და მეორე 8 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გადიან: ერთი დილის 9 ს. და 20 წუთს და მეორე საღამოს 7 საათზედა; ღამეს არსად არა დგებიან; მიდიან კავკავ-
მეორე დღეს, პირველი 12 ს. შუადღეს და მეორე 8 ს. 50 წუთს საღამოს.

კავკავიდან.

ხუთ-ადგილიანი ეტლები გადიან: ერთი დილის 7 საათზედ, ღამეს ათენს მლეთში და მეორე დილის 9 საათზედ, ღამეს ათენს გუდაურში. მოდიან ტფილისს, პირველი საღამოს ს. და მეორე 7 საათზედ.

ექვს-ადგილიანი ომნიბუსები გამოდიან: პირველი დილის 10 საათზედ და მეორე საღამოს 7 საათზედ, ღამეს არსად არ ათენენ. მოდიან ტფილისს მეორე დღეს, პირველი დილის 11 საათზედ და მეორე საღამოს 8 საათზედ.

ფასი მიმოსვლისა

ერთი ადგილი შიგ ეტლში სასხლმწიფო ხარჯიანათ—19 მ. 60 კ. ეტლის კაბრიოლეტში—13 მ. 20 კ. ხოლო კოფაზე 5 მ. 40 კ.

შენიშვნა. ეტლების და ომნიბუსების მიმოსვლა ტფილისსა და კავკავს შორის ისეა მოწყობილი, რომ როგორც ტფილისს, აგრეთვე კავკავს დროზედ უსწრობენ რკინის გზის მიმოსვლას ტფილისში თუ კავკავში.

ახალი სასტუმრო

არარატი

დაბა დელიჟანში.

კარგად მორთული ნომრები და საუკეთესო ბუფეტი.

ყარსში მიმავალი მგზავრები და ახალ რკინის გზის იჯარადრები უკეთესს ადგილს ვერ იპოვნიან დელიჟანში ღამის გასათევად.

ფასები ძლიერ იაფია

სასტუმროს პატრონი ბესარიონ ი. შაფაქიძე.

Новая гостиница „АРАРАТЪ“, въ уроч. Делижанъ.

Цѣны умѣренныя.

Содержатель В. И. Шапакидзе.

(15—7)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА

НОВЫЙ ЖУРНАЛЪ

ЛИТЕРАТУРНЫЙ, НАУЧНЫЙ и ПОЛИТИЧЕСКІЙ

„ЖИЗНЬ“

Журналъ выходитъ съ 1 января 1897 г. въ С.-Петербургѣ **три раза** въ мѣсяцъ (1, 11, и 21) книгами большого формата in 8° въ 10—12 печ. листовъ (160—200 стр.) каждая.

Въ программу журнала входятъ слѣдующіе отдѣлы:

36 КНИГЪ — **7 РУБЛЕЙ**

I. Романы, повѣсти, разсказы (преимущественно русскихъ авторовъ), стихотворенія и пр.
II. Научныя статьи по всѣмъ отраслямъ знанія и искусствъ, въ популярномъ изложеніи.
III. Статьи по общественнымъ вопросамъ.
IV. Критика и библіографія.
V. Русская жизнь.
VI. Заграничная жизнь.
VII. Театръ. Музыка. Живопись.
VIII. Смѣсь.

Приступая къ изданію журнала, редакція **„ЖИЗНИ“** руководствуется мыслью, что среди читающей публики давно чувствуется потребность въ такомъ органѣ печати, который былъ бы чуждъ односторонности и рутины, столь обычной въ нашей журналистикѣ. Съ свѣтлой вѣрой въ будущее нашей родины, нашей родной литературы, мы выходимъ на журнальное поприще. Мы глубоко убѣждены въ томъ, что время, переживаемое теперь, не есть время слабости или упадка, напротивъ того, это время броженія и усиленныхъ умственныхъ запросовъ, въ которыхъ скрываются зачатки великаго будущаго. Согласно съ этимъ убѣжденіемъ мы будемъ съ величайшимъ вниманіемъ относиться ко всѣмъ новымъ явленіямъ жизни, науки и литературы. Въ переживаемомъ нами времени, конечно, есть много уродливыхъ сторонъ, вродѣ пресловутаго декадентства—декадентства въ жизни и въ литературѣ,—но есть также и много дѣйствительно прекраснаго. Принимая съ благодарностью лучшіе завѣты и уроки прошедшаго, мы, однако, не будемъ жить исключительно его традиціями. На смѣну ему идетъ будущее съ неизбѣжно новыми задачами, новыми теченіями въ наукѣ и мысли вообще. Этому будущему, его интересамъ, равно какъ интересамъ и вопросамъ настоящаго и будетъ посвященъ, главнымъ образомъ, нашъ журналъ.

Открывая подписку на журналъ, редакція **„ЖИЗНИ“** не стремится длиннымъ спискомъ обѣщанныхъ свое сотрудничество авторовъ или перечнемъ пріобрѣтенныхъ у нихъ произведеній привлечь подписчиковъ. Редакція ограничивается лишь сообщеніемъ своихъ общихъ задачъ и надѣется, что ей удастся сослужить посильную службу на трудномъ общественномъ поприщѣ и добиться своихъ цѣлей не рекламою, а добросовѣстнымъ исполненіемъ принятыхъ на себя обязательствъ.

Подписная цѣна за годовое изданіе **„ЖИЗНИ“**, состоящее изъ **тридцати шести книгъ, СЕМЬ рублей** съ доставкой и пересылкою. **За границу—7 рублей золотомъ.**

При обращеніи непосредственно въ контору **„ЖИЗНИ“** допускается разсрочка: при подпискѣ вносится **3** рубля, къ 1-му апрѣля **2** руб. и къ 1-му іюля остальные, или на болѣе льготныхъ условіяхъ отъ **1** руб. ежемѣсячно.

КОНТОРА РЕДАКЦІИ: С.-Петербургъ, Ковенскій пер., д. № 30.

Редакторъ-издатель **С. В. Воейковъ.** (6—1)

Магазинъ

О. ЗИБЕРТА

Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

серебрянныя вещи фабрики Мюллерь въ Ригѣ.

Большой выборъ: *альбомовъ, дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ и т. под., *Мельхіоровыхъ вещей*, издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—17)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.